ოთხი იოლი ნაბიჯი
ლიცენზიის მოსაპოვებლად

გზამკვლევი

თბილისი, 2007

სარჩევი

შესავალი..... 5

რომელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საქმიანობა არ ექვემდებარება ლიცენზირებას? 9

რა სახის ლიცენზიები გაიცემა..... 9

ნაბიჯი პირველი – რითი დავიწყოთ?..... 11

ნაბიჯი მეორე – სალიცენზიო დოკუმენტაციის მომზადება..... 12

– საგანმანათლებლო – სააღმზრდელო პროგრამები..... 13

– ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის შესახებ..... 15

– ხელშეკრულებები 18

– ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ..... 18

ნაბიჯი მესამე – სალიცენზიო მოსაკრებელი 26

ნაბიჯი მეოთხე – ლიცენზიის გაცემა 29

სალიცენზიო მოწმობა 33

კითხვა-პასუხი 34

შესავალი

„ლიცენზია“ – ლათინური სიტყვაა და ნებართვას, უფლებას ნიშნავს.

საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს სარგებლობისა და საქმიანობის ლიცენზიებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გასცემს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიებს.

საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიების გაცემის საფუძვლებს სხვადასხვა წლებში წარმოადგენდა:

- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილება ,,საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სწავლების თაობაზე დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ'';
- საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 17 მარტის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლის შესახებ“;
- 1999 წლის 14 მაისის საქართველოს კანონი ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ'' და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 6 დეკემბრის №644 ბრძანებულება ,,კერძო აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირებისათვის საჭირო დოკუმენტების და პირობების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ'';
- 2002 წლის 14 მაისის საქართველოს კანონი ,,სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ''.

ამ წლებში (1991 წლიდან 2005 წლამდე) ლიცენზიის მისაღებად საჭირო იყო უამრავი დროისა და ენერგიის ხარჯვა, ხშირად თავის დამცირება და ჩინოვნიკების "პატივისცემა".

2005 წლიდან თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო ლიცენზირების სფეროში.

სწორედ 2005 წელს იქნა მიღებული შემდეგი კანონები:

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი, 2005 წლის 24 ივნისი; www.mes.gov.ge

- ,,საგანმანათლებლოდ და სააღმზრდელოდ დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონი, 2005 წლის 10 მარტი. http://www.mes.gov.ge/files/255_437_529322_kanoni.pdf

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებულ საფრთხეს, წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

„საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქარ-

თველოს კანონი აწესრიგებს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობისთვის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ლიცენზირებადი საქმიანობის სახეებს, ლიცენზიის გამცემ ორგანოებს და დამატებით სალიცენზიო პირობებს.

ლიცენზიის გაცემის პროცედურა, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გამარტივებულია. მოქმედებს "ერთი სარკმლის" პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ლიცენზიის მაძიებელს ურთიერთობა მხოლოდ ერთ სამთავრობო უწყებასთან, ამ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნირების სამინისტროსთან უწევს, ხოლო ლიცენზიის გაცემისათვის აუცილებელ დოკუმენტებს (მაგალითად, ინფორმაციას სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ) მოიპოვებს სამინისტრო სხვა საჯარო დაწესებულებებისაგან.

ამასთან, ლიცენზიის მაძიებელს საქმე აქვს მხოლოდ ერთ საჯარო მოხელესთან და მას არ უწევს ურთიერთობა სხვადასხვა ჩინოვნიკთან. თუ წინათ ლიცენზიის გაცემის საკითხს განიხილავდნენ სამინისტროს სხვადასხვა სამმართველოები, ახლა საკითხი განიხილება მხოლოდ ლიცენზირების სამსახურში.

წინათ ლიცენზიის მაძიებელი ვალდებული იყო სამინისტროში სხვა საბუთებთან ერთად წარედგინა:

(1) ცნობა საბანკო დაწესებულებიდან განცხადების შემოტანის დღისათვის ლიცენზიის მაძიებლის ანგარიშზე არსებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ;

(2) ცნობა იმ შენობის სეისმომდგრადობის შე-

მოწმების შესახებ, რომელშიც განსაზღვრული იყო საგანმანათლებლო (სააღმზრდელო) დაწესებულების გახსნა.

ამჟამად ლიცენზიის მაძიებელს აღნიშნული საბუთების წარმოდგენა საერთოდ აღარ მოეთხოვება!

ადრე ლიცენზია გაიცემოდა საგანმანათლებლო დაწესებულების გახსნაზე.

ამჟამად ლიცენზიის მაძიებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებები იქმნება კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით სამეწარმეო კანონმდებლობის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან დამოუკიდებლად, მისი წინასწარი თანხმობის გარეშე.

ადრე ლიცენზირებას ექვემდებარებოდა მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირების საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობა.

ამჟამად ლიცენზირებას ექვემდებარება როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირების საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობა.

წინათ ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულება ფილიალის გახსნის, აგრეთვე ახალი სპეციალობის დამატების შემთხვევაში საჭიროებდა ცალკე ლიცენზიის მიღებას, შესაბამისად, დამატებითი სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდას და სალიცენზიო დოკუმენტაციის წარმოდგენას.

ამჟამად ლიცენზიის მფლობელს ფილიალის გახსნის ან სპეციალობის დამატებისთვის არ ესაჭიროება ცალკე ლიცენზიის მიღება.

რომელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო საქმიანობა არ ექვემდებარება ლიცენზირებას?

ლიცენზირებას არ ექვემდებარება:

- **სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაღები) საქმიანობა;**
- საგანმანათლებლო საქმიანობა **ერთჯერადი ლექციების, სემინარებისა** და განათლების სხვა ფორმების სახით, რომლებსაც თან არ ახლავს სახელმწიფო ატესტაცია და განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- **ინდივიდუალური პედაგოგიური** საქმიანობა, მათ შორის, პროფესიული მომზადების სფეროში;
- **არაფორმალური პროფესიული განათლება.**

რა სახის ლიცენზიები გაიცემა?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გასცემს შემდეგი სახის ლიცენზიებს:

- ➢ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია;
  - ✓ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;

- ✓ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია;
- ✓ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია.

- ➢ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია;
- ➢ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია;
- ➢ მშობელთა მზრუნველობამოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო სფეროში ყველა სახის საქმიანობის ლიცენზიას, გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა, გასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ("აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების გადაცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 მარტის 66-ე დადგენილება). http://www.mes.gov.ge

საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია ერთდროულად განახორციელოს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რამდენიმე საგანმანათლებლო და ამასთან სააღმზრდელო საქმიანობა.

ნაბიჯი პირველი: რით დავიწყოთ?

გნებავთ განახორციელოთ საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო საქმიანობა?

ამისათვის, პირველ რიგში, უნდა დაფუძნდეთ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება დააფუძნოს ერთმა ან ერთობლივად რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანომ.

http://www.mes.gov.ge/files/160_1163_965295_sajaro%20samarTlis.pdf

კერძო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით:

- ✓ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს;
- ✓ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება- სპს;
- ✓ სააქციო საზოგადოება - სს;
- ✓ კომანდიტური საზოგადოება - კს;
- ✓ კოოპერატივი.

(მეწარმეთა შესახებ კანონი) http://www.mes.gov.ge

- ✓ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)
http://www.mes.gov.ge

კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციას ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული საგადასახადო ინსპექცია სახელმწიფო რეესტრში სათანადო ჩანაწერით.

ნაბიჯი მეორე: სალიცენზიო დოკუმენტაციის მომზადება

თქვენ უკვე გადადგით პირველი ნაბიჯი - შექმენით იურიდიული პირი.

მეორე ნაბიჯია სალიცენზიო დოკუმენტაციის მომზადება.

გახსოვდეთ, სალიცენზიო დოკუმენტაციის სწორად და სრულყოფილად მომზადება ლიცენზიის მიღების საწინდარია.

ლიცენზიის მისაღებად სამინისტროში წარსადგენი დოკუმენტებიდან თქვენ უკვე ხელთ გაქვთ:

- იურიდიული პირის წესდება;
- ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან.

იურიდიული პირის წესდების ასლი, სამინისტროში წარდგენამდე საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას

ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის სახით

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები, დამოწმებული დამფუძნებლის მიერ ან სანოტარო წესით.

გარდა ამისა, თქვენ უნდა მოამზადოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ საგანმანათლებლო/სააღმზრდელო პროგრამები;
- ✓ ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის შესახებ;
- ✓ ლიცენზიის მაძიებლის მიერ პედაგოგებთან ლიცენზიის მიღების პირობით გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კანონიერი ფლობისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ შენობა-ნაგებობების გეგმა სართულების მიხედვით.

განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს სალიცენზიო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები

ლიცენზიის ფლობისათვის ლიცენზიის მფლობელის და მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის, ჩმათ შორის დაწყებითი საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიების მისაღებად/ფლობისათვის ლიცენზიის მაძიებლის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ წარმოდგენილი სასკოლო გეგმა შესაბამისი საფეხურის/საფეხურების ყველა კლასისათვის უნდა შეესაბამებოდეს სათანადო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმას და მასში დასახულ მიზნებს.

http://www.reform.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=155

2. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად/ფლობისათვის დაწესებულებას უნდა ჰქონდეს:

- ✓ თითოეული საფეხურის სასწავლო გეგმა მოდულების ან სასწავლო კურსების მიხედვით;
- ✓ სპეციალობების ჩამონათვალი მისაღწევი აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული კვალიფიკაციის ჩვენებითა და თითოეულ საფეხურზე სწავლების ვადის მითითებით;
- ✓ საათების განაწილება მოდულების მიხედვით, საგნების ჩამონათვალი, სათანადო კრედიტების ან აკადემიური საათების მითითებით, შეფასების ფორმები;
- ✓ მოდულებში შემავალი სასწავლო კურსების მოკლე აღწერა (მინიმუმ 50 სიტყვა).

3. სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად/მფლობისათვის მაძიებელს/მფლობელს კვალიფიკაციების მიხედვით უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები.

4. მშობელთა მზრუნველობამოკლებულ, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად/მფლობისათვის ლიცენზიის მაძიებლის/მფლობელის მიერ წარდგენილ პროგრამაში აღწერილი უნდა იყოს აღზრდის მეთოდიკა და დღის წესრიგი.

ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის შესახებ

ლიცენზიის მისაღებად/ფლობისათვის ლიცენზიის მფლობელის და მაძიებლის პედაგოგიური კადრები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის** გენერალური ლიცენზიის, მათ შორის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიების, მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი/მფლობელი დაწესებულება უნდა დაკომპლექტდეს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საფეხურის, საგნების/საგნობრივი ჯგუფების შესაბამისი სერთიფიცირებული მასწავლებლებით;

ზოგადსაგანმანათლებლო ლიცენზიის მაძიებელმა/მფლობელმა 2013 წლამდე საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება განახორციელოს უმაღლესი პედაგოგიური ან შესაბამისი უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე კადრებით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად /ფლობისათვის დაწესებულება უნდა დაკომპლექტდეს აკადემიური პერსონალით. თანამშრომლები, რომლებიც შეადგენენ აკადემიურ პერსონალს, უნდა აკმაყოფილებდნენ წარდგენილ მოთხოვნათაგან ერთ-ერთს:

- ✓ ჰქონდეთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ✓ ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული ხარისხი;
- ✓ სწავლობდნენ დოქტორანტურის პროგრამით იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

http://www.mes.gov.ge/files/255_436_712774_umaglesi%20ganatleba.pdf

პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის აკადემიური პერსონალის გარდა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთ პროგრამებს შეიძლება ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება; www.mes.gov.ge

საშემსრულებლო სპეციალობების განხორციელების შემთხვევაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთს სპეციალობებს შეიძლება ასწავლიდნენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებსაც არ აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი.

3. სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად/ფლობისათვის დაწესებულე-

ბაში დასაქმებულ ყველა სახელობო განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი განათლება, გავლილი უნდა ჰქონდეს აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი და იგი სერტიფიცირებული უნდა იყოს "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო სახელობო განათლების ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, გავლილი უნდა ჰქონდეს აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი და იგი სერთიფიცირებული უნდა იყოს "პროფესიული განაღლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელმა/მფლობელმა 2013 წლამდე საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება განახორციელოს მასწავლებლებით, რომელთაც აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება და ინსტრუქტორებით, რომლებსაც აქვთ შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

4. მშობელთა მზრუნველობამოკლებულ, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად/ფლობისათვის დაწესებულებაში დასაქმებულ აღმზრდელებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება. დაწესებულებაში ყოველ 16 აღსაზრდელზე უნდა იყოს არანაკლებ 1 აღმზრდელისა.

ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს თანდართული სარეკომენდაციო ფორმის მიხედვით (დანართი 1).

ხელშეკრულებები

ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ლიცენზიის მიღების პირობით პედაგოგიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ეს ნიშნავს შეთანხმებას იმაზე, რომ ხელშეკრულება ძალაში შევა ლიცენზიის მიღების შემთხვევაში.

უმაღლესი საგანმათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელს უნდა ჰქონდეს დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტებთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებები.

სახელობო საგანმათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელს უნდა ჰქონდეს დაწესებულებაში აღრიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ლიცენზიით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, დაწესებულება მოსწავლეებს, სტუდენტებს უნდა უქმნიდეს შესვენებისა და ფიზიკური განვითარების, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს — თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების პირობებს.

ლიცენზიის მისაღებად/ფლობისათვის ლიცენზიის მაძიებლის/ფლობელისმატერიალურ-ტექნიკურიმდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. **ზოგადსაგანმანათლებლოსაქმიანობის** გენერალური ლიცენზიის მათ შორის დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიების მისაღებად/ფლობისათვის, ლიცენზიის მაძიებლის/მფლობელის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს და იგი ვალდებულია, წარადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

- ✓ ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს ერთ მოსწავლეზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 4$მ^2$ საერთო ფართობისა და არანაკლებ 2$მ^2$ საკლასო ფართობისა, მაგრამ არანაკლებ:

  ა) 200$მ^2$ საერთო და 100$მ^2$ საკლასო ფართობისა - დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიისათვის;

  ბ) 100$მ^2$ საერთო და 50$მ^2$ საკლასო ფართობისა – საბაზო ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიისათვის;

  გ) 400მ2 საერთო და 200$მ^2$ საკლასო ფართობისა – ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიისათვის;

- ✓ ლიცენზიის მაძიებლის/მფლობელის უფლება შენობა-ნაგებობების ფართობის ფლობასა და სარგებლობაზე დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით: არანაკლებ 6 წლის ვადით – ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის ან დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის მისაღებად, ხოლო არანაკლებ 3 წლის ვადით – საბაზო ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის მისაღებად; იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

- ✓ ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი სასწავლო დანიშნულების ნივთები: მერხები, სკამები, დაფები ან მათი შემცვლელი სხვა საშუალებები. სასწალო დანიშნულების ნივთები წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ:

  ა) 50 მოსწავლისათვის – დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიისათვის;

  ბ) 25 მოსწავლისათვის – საბაზო ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიისათვის;

  გ) 100 მოსწავლისათვის – ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიისათვის;

- ✓ ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც საჭიროა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

2. **უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის** ლიცენზიის მაძიებელი/მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს და ვალდებულია, წარადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

ა) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1000 $მ^2$ საერთო ფართობისა ერთ მისამართზე. შენობა-ნაგებობების ფართობის არანაკლებ 6 წლის ვადით ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

ბ) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს ერთ სტუდენტზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 4 $მ^2$ ფართობისა, რომელიც გამოიყენება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის (აუდიტორია, ლაბორატორია და სხვა). შენობა-ნაგებობების ფართობის არანაკლებ 6 წლის ვადით ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

გ) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა, ერთ სტუდენტზე

არანაკლებ 10 დასახელების წიგნისა, მაგრამ არანაკლებ 2000 დასახელების წიგნისა;

დ) ლიცენზიის მაძიებელი უნდა ფლობდეს 25 სტუდენტზე არანაკლებ ერთი კომპიუტერისა, მაგრამ არანაკლებ 8 კომპიუტერისა;

ე) ლიცენზიის მაძიებელი/მფლობელი ვალდებულია წარადგინოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აუდიტორიების, სახელოსნოს და სხვა ობიექტების ფლობისა და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ 6 წლის ვადით გაფორმებული დოკუმენტები. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

3. **სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის** ლიცენზიის მაძიებელი/მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს და ვალდებულია, წარადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

ა) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს ერთ მოსწავლეზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 4 m^2 ფართობისა, სადაც მიმდინარეობს შესაბამისი პროფესიული მომზადება. შენობა-ნაგებობის ფართობის არანაკლებ 2 წლის ვადით ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფ-

ლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

ბ) ლიცენზიის მაძიებელი/მფლობელი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, პრაქტიკული სწავლების ბაზის, კლინიკის, სახელოსნოს, ინსტრუმენტებისა და სხვა ობიექტების ფლობისა და სარგებლობის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ 2 წლის ვადით გაფორმებული დოკუმენტები; იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

4. **მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის** ლიცენზიის მაძიებელი/მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს და ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია:

ა) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს ფართობი, რომლის არანაკლებ 6 წლის ვადით ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. ფართობი აღსაზრდელების რაოდენო-

ბის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 6 აღსაზრდელისათვის, უნდა მოიცავდეს:

ა.ა) საძინებელ ოთახს/ოთახებს: ერთ აღსაზრდელზე არანაკლებ 6$მ^2$ ფართობისა. საძინებელ ოთახში განთავსებული უნდა იყოს არაუმეტეს 10 ბავშვისა;

ა.ბ) არანაკლებ 25 $მ^2$ ფართობის მქონე ოთახს კარანტინისათვის;

ა.გ) სამზარეულოს;

ა.დ) სასადილოს;

ა.ე) ტუალეტს/ტუალეტებს, საშხაპეს/საშხაპეებს, პირსაბანს/პირსაბანებს 16 აღსაზრდელზე არანაკლებ ერთისა, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელზე – 10 აღსაზრდელზე არანაკლებ ერთისა, რომელიც/რომლებიც მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშთა საჭიროებებზე;

ა.ვ) ეზოს – არანაკლებ 8 $მ^2$ ფართობისა თითო აღსაზრდელზე;

ბ) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს აღსაზრდელთა რაოდენობის, მაგრამ არანაკლებ 6 აღსაზრდელის შესაბამისი სააღმზრდელო დანიშნულების ნივთები: სპორტული ინვენტარი, სათამაშოები, სკამები, ან სხვა ნივთები;

გ) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს გამოყოფილი უნდა ჰქონდეს ერთ აღსაზრდელზე,

მაგრამ არანაკლებ 6 აღსაზრდელისათვის, თითო ტუმბო და საწოლი, ყოველ 4 აღსაზრდელზე-1 კარადა;

დ) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს ყოველ 4 აღსაზრდელზე, მაგრამ არანაკლებ 6 აღსაზრდელისათვის, არანაკლებ 1 სასადილო მაგიდისა და ერთ აღსაზრდელზე არანაკლებ 1 შესაბამისი სკამისა;

ე) ლიცენზიის მაძიებელს/მფლობელს უნდა ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელთა თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების პირობები.

ყურადღება!
შენობა-ნაგებობების გეგმაზე მითითებული უნდა იყოს ოთახებისა და სათავსოების ფართი და დანიშნულება

ყურადღება!
ის შენობა-ნაგებობანი, რომელშიც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო საქმიანობა, უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.
ინფორმაციას სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ ლიცენზიის მაძიებლის ნაცვლად მოიპოვებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ნაბიჯი მესამე:
სალიცენზიო მოსაკრებელი

თქვენ თითქმის ყველა დოკუმენტს მოუყარეთ თავი.

დაგრჩათ მხოლოდ ერთი - სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

სალიცენზიო მოსაკრებელი ეს არის ერთჯერადი სავალდებულო გადასახადი, რომელსაც რიცხავს ლიცენზიის მაძიებელი სახელმწიფო ბიუჯეტში, კანონით განსაზღვრული ოდენობით, მისთვის კანონით განსაზღვრული ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების უფლების მისანიჭებლად. საგანმანათლებლო საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებელი მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრირების ხარჯებს.

სალიცენზიო მოსაკრებელი დადგენილია კანონით ,,სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ". www.mes.gov.ge

მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა საქმიანობის ლიცენზიის სახეების მიხედვით:

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთებია:

1) ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზია – 300 ლარი;

   ✓ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია – 100 ლარი;

✓ საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია – 100 ლარი;

✓ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზია – 100 ლარი;

2) უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია – 500 ლარი;

3) სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია – 300 ლარი;

4) მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია – 200 ლარი.

სალიცენზიო მოსაკრებლის გადასარიცხი რეკვიზიტები: მიმღები – ერთიანი ანგარიში,მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - 220 101 222, ანგარიშის ნომერი - 200 122 900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302 003 000.

სალიცენზიო მოსაკრებელს იხდის იურიდიული პირი!

და აი, დადგა დრო, წერილობითი განცხადებით მიმართოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- სამინისტროს სახელწოდებას;
- ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის დასახელებასა და მისამართს;

- მოთხოვნას - რომელი სახის ლიცენზიის მიღებას მოითხოვს მაძიებელი;
- განცხადების წარდგენის თარიღს;
- განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას:

1. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
2. ამონაწერი სახელმწიფო რეესტრიდან (კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის) ან სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები (საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის);
3. ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის წესდება;
4. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები;
5. ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის შესახებ;
6. ლიცენზიის მაძიებლის მიერ ლიცენზიის მიღების პირობით პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
7. ინფორმაცია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;
8. შენობა-ნაგებობების გეგმა სართულების მიხედვით;

ნაბიჯი მეოთხე:
ლიცენზიის გაცემა

მას შემდეგ, რაც განცხადება ჩააბარეთ სამინისტროს კანცელარიას, შეგიძლიათ ცოტა დაისვენოთ, ახლა ბურთი უკვე სამინისტროს ნახევარზეა.

ლიცენზირების სამსახური სამი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს სალიცენზიო დოკუმენტაციას და ადგენს მათ შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

იმ შემთხვევაში, თუ სალიცენზიო დოკუმენტაცია არასრულყოფილად არის წარმოდგენილი, მაგალითად, გამოგრჩათ რომელიმე დოკუმენტი, ან განცხადება არასწორადაა შედგენილი, სამინისტრო ვალდებულია ხარვეზის გამოსასწორებლად წერილობითი ფორმით განგისაზღვროთ ვადა, არანაკლებ 5 დღისა. თუ თქვენ სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ვადაში ვერ ასწრებთ სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენას, შეგიძლიათ ამ ვადის გასვლამდე მოითხოვოთ მისი გაგრძელება. სამინისტრო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა და გაგიგრძელოთ დოკუმენტების წარმოდგენის ვადა მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 დღისა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით გეცნობებათ.

> თუ ლიცენზიის მაძიებელი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ გამოასწორებს ხარვეზს, სამინისტრო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ლიცენზიის მაძიებლის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამინისტროში სათანადო წესით გაფორმებულ განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი.

სამინისტრო ვალდებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში მიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

ვადების ათვლისას კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება. მაგალითად, თუ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2007 წლის 5 მარტს, საბოლოო გადაწყვეტილება სამინისტერომ უნდა მიიღოს არაუგვიანეს 2007 წლის 19 აპრილისა, ე.ი. 30-ე სამუშაო დღეს.

სამინისტრო ვალდებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ინფორმაცია გაზეთ "24 საათში" საჯარო გაცნობისათვის სალიცენზიო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ. საჯარო გამოქვეყნების მიზანია: უზრუნველყოფილ იქნეს საკითხის საჯაროდ განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებლად, საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სამინისტროს ლიცენზირების სამსახურში გაეცნოს ლიცენზირებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის ასლებს და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 20 დღის ვადაში, წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება, რომლის ანონიმურობა, მოთხოვნის შემთხვევაში, დაცული იქნება.

აღნიშნული 20-დღიანი პერიოდის გასვლიდან შვიდი დღის განმავლობაში სამინისტროში იმართება ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენა საჯაროა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია დაესწროს და გამოთქვას საკუთარი აზრი. სწორედ ზეპირი მოსმენის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება. ზეპირი მოსმენის თარიღი განმცხადებელს ეცნობება მის გამართვამდე 7 დღით ადრე.

ზეპირი მოსმენის გამართვამდე სამინისტროს წარმომადგენლები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ადგილზე ამოწმებენ სალიცენზიო განცხადებაში მითითებული მონაცემების სისწორეს. შემოწმების შედეგად შედგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე. თუ ლიცენზიის მაძიებელი არ ეთანხმება აქტის შინაარს, იგი უფლებამოსილია თავისი შენიშვნები წერილობით წარმოადგინოს.

ლიცენზიის ყველა მაძიებელს ეს შეიძლება არ აინტერესებდეს, მაგრამ ყველაზე ცნობისმოყვარემ უნდა იცოდეს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ასლები გადაეცემა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს შესაბამის სამსახურს, იმ ობიექტის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების მიზნით, სადაც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო/საალმზრდელო საქმიანობა. შესაბამისი პასუხი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 27 სამუშაო დღეში. ამ ვადაში დასკვნის მიუღებლობის შემთხვევაში აღნიშნული პირობა ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

ლიცენზიის მიღებამდე თითქმის აღარაფერი რჩება!

ზეპირი მოსმენის შემდეგ, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადის ამოწურვამდე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ბრძანებას ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში სამინისტრო ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს სალიცენზიო მოწმობა. მინისტრის ბრძანების საფუძველზე ლიცენზიის გაცემის შესახებ ინფორმაციის შეტანა მოხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში **(**www.mes.gov.ge**).** სამინისტრო ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს ლიცენზიის გაცემის შესახებ სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. ამასთან, ლიცენზიის გაცემის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

ყურადღება!
თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ
საჯარო ადმინისტრაციული წარმოების
დაწყებიდან 30 დღის ვადაში არ მიიღო
გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან
ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ,
ლიცენზია გაცემულად ჩაითვლება.

სალიცენზიო მოწმობა

აი, გავიდა 30 დღე და თქვენ უკვე ლიცენზიის მფლობელი ხართ!

ამჯერად ერთხელ კიდევ (მხოლოდ მეორედ) მოგიწევთ მოსვლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სალიცენზიო მოწმობის მისაღებად.

სალიცენზიო მოწმობა შეიძლება თვალსაჩინო ადგილას გამოაკრათ.

კითხვა - პასუხი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის მზად არის დეტალური პასუხი გაგცეთ ლიცენზირების შესახებ წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე.

– როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ სალიცენზიო მოწმობა დავკარგეთ ან დაგვიზიანდა?

– სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, თქვენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნდა მიმართოთ წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ცნობა პოლიციიდან საბუთის დაკარგვის შესახებ ან დაზიანებული სალიცენზიო მოწმობა.

განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში თქვენ დაუბრკოლებლად გადმოგეცემათ სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატი, რის შესახებაც ინფორმაცია შეიტანება უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში და ეცნობება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

– არის თუ არა გადასახადი სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის ასაღებად?

– სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის რაოდენობა განისაზღვრება "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ" კანონით და შეადგენს 10 ლარს.

– მაქვს თუ არა უფლება დუბლიკატის აღებამდე განვახორციელო ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა?

– ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მოწმობის აღდგენამდე განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

– იქნება თუ არა დუბლიკატი ისეთივე ძალის მატარებელი, როგორიც ორიგინალია?

– სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მის დედანს.

– რა შემთხვევაში შეიძლება მეთქვას უარი ლიცენზიის მიღებაზე?

– ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს

ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს. (მაგ.: შენობა-ნაგებობაში, რომელშიც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო საქმიანობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ვერ შეექმნებათ თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების პირობები).

გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

– შეიძლება თუ არა გასაჩივრდეს უარი ლიცენზიის გაცემაზე?

– ლიცენზიის გაცემაზე სამინისტროსგან მიღებული უარყოფითი პასუხი ლიცენზიის მაძიებელმა შეიძლება გაასაჩივროს 30 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მისამართი - ქ. თბილისი, ი. სარაჯიშვილის ქ. №1ᵃ.

– ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დამიბრუნდება თუ არა გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი ან/და განცხადებაზე თანდართული საბუთები?

– გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი მაძიებელს არ უბრუნდება, ვინაიდან ეს თანხა ხმარდება სალიცენზიო პირობების შესწავლას და შემოწმებას. ასევე არ ბრუნდება სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტები.

– როდის შემიძლია ხელმეორედ შემოვიტანო განცხადება?

– განცხადების ხელმეორედ შემოტანა ნებისმიერ დროს შეიძლება, მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ, რომ ხელმეორედ მაშინ შემოიტანოთ განცხადება, როდესაც ამისათვის საფუძვლიანად მოემზადებით, გამოასწორებთ ხარვეზებს დოკუმენტაციაში, ან სალიცენზიო ობიექტის პირობებს მოიყვანთ შესაბამისობაში კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. განცხადების ხელმეორედ შემოტანის შემდეგ, თქვენ თავიდან მოგიწევთ მთელი პროცედურის გავლა, ყველა საბუთის ხელახლა წარმოდგენა, მათ შორის - სალიცენზიო მოსაკრებელის გადახდაც.

– ვის წინაშეა ლიცენზიის მფლობელი ანგარიშვალდებული სალიცენზიო პირობების შესრულებაზე?

– ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებას აკონტროლებს ლიცენზიის გამცემი, ანუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ლიცენზიის მფლობელმა ლიცენზიის გამცემს ყოველწლიურად (1 აპრილიდან 1 მაისამდე) უნდა წარუდგინოს ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ. სალიცენზიო პირობების შემოწმება ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.

ახლადლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ.

– რა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის?

– ლიცენზიის მფლობელი დაჯარიმდება თუ დაარღვია კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობები. ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის. დადგენილ ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. ლიცენზიის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სალიცენზიო პირობების

დაკმაყოფილებისათვის. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება და კვლავ განისაზღვრება, სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის, გონივრული ვადა.

თუ, ყოველივე ამის შემდეგ, ლიცენზიის მფლობელი არ დაიცავს სალიცენზიო პირობებს, ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

– პირველი შემოწმების შედეგად სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის ლიცენზიის მფლობელს რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრება?

1. ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით.
3. სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.
4. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით.
5. დაწყებითი პროფესიული (სახელობო) საგან-

მანათლებლო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

6. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით. www.mes.gov.ge

– რა წესით ხდება ლიცენზიის გაუქმება?

– ლიცენზიის გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

– რა შეიძლება გახდეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველი?

– ლიცენზიის გაუქმების საფუძვლებია:

ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;

ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია;

გ) კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა.

– საქმიანობის დროებით შეწყვეტის შემთხვევაში ხომ არ ჩამომერთმევა ლიცენზია?

– საქმიანობის დროებით შეწყვეტის შემთხვევაში ლიცენზია არ ჩამოგერთმევათ, მაგრამ ლიცენზიის მფლობელი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია დაიცვას სალიცენზიო პირობები.

– ვალდებულია თუ არა ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში დააბრუნოს სალიცენზიო მოწმობა?

– სალიცენზიო მოწმობა ლიცენზიის გამცემს უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

– რა ფორმით გაიცემა ლიცენზია?

– სალიცენზიო მოწმობის ფორმა განისაზღვრება "სალიცენზიო მოწმობის ფორმისა და სალიცენზიო მოწმობის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 29 ნოემბრის 650-ე ბრძანებით.

– როდის შეიძლება დავიწყო საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობა?

ა) კანონით დადგენილ ვადაში ლიცენზიის გამცემის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ განახორციელოს საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობა აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბ) ლიცენზიის გამცემის მიერ გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადაში მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილია საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმიანობა განახორციელოს სალიცენზიო მოწმობის გაცემისთანავე.

– საჭიროა თუ არა იურიდიული პირის ფილიალის საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმინობის ლიცენზირება?

– არ არის საჭირო. იურიდიული პირის ფილიალი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო საქმინობას განახორციელებს იურიდიული პირის ლიცენზიის საფუძველზე.

– რა უნდა მოიმოქმედოს ლიცენზიის მფლობელმა იურიდიულმა პირმა ფილიალის გახსნისათვის?

– ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინასწარ აცნობოს ფილიალის მიერ ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისობის თაობაზე.

– უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე გახსნილ ფილიალში (წარმომადგენლობაში) განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა?

– უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს ტერიტორიაზე გახსნილ ფილიალში (წარმომადგენლობაში) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

– შეიძლება თუ არა საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემა?

– საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით ან რაიმე სხვა სახით გადაცემა დაუშვებელია.

– როგორ მოვიქცე, თუ შეიცვლება ჩემი რეკვიზიტები?

– იურიდიული პირის სახელწოდების, იურიდიულ მისამართის, აგრეთვე სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერში ან სადამფუძნებლო დოკუმენტებში ასახული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია 7 დღის ვადაში ლიცენზიის გამცემს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები.

– რა პრივილეგია აქვს ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას?

– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც მიიღო ლიცენზია და რომელიც, შესაბამისად, ახალდაფუძნებულად ითვლება, სარგებლობს აკრედიტებული დაწესებულების უფლებებით მის მიერ აკრედიტაციის გავლამდე, მაგრამ საქმიანობის დაწყებიდან არა უგვიანეს 5 წლის ვადაში.

– რა ვადით გაიცემა ლიცენზია?

– ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

– რა ბედი ელით ლიცენზირებულ დაწყებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს?

– დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, ითვლებიან სახელობო საქმიანობის ლიცენზიის მქონედ.

– რა ბედი ელით ლიცენზირებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს?

– 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე იურიდიული პირები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდათ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, ითვლებიან ლიცენზირებულად და უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ სალიცენზიო პირობებს:

ა) სპეციალობების მიხედვით წარდგენილი სასწავლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს;

ბ) დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პედაგოგს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, ხოლო საწარმოო სწავლების ოსტატს (სასწავლო პრაქტიკის მასწავლებელს) – შესაბამისი პროფესიული განათლება ან 3 წელზე მეტი სათანადო პრაქტიკული გამოცდილება;

გ) დაწესებულებას 1 მოსწავლეზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 4 m^2 ფართობისა, რომელშიც მიმდინარეობს შესაბამისი პროფესიული მომზადება. შენობა-ნაგებობების ფართობის არა-

ნაკლებ 3 წლის ვადით ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

დ) დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების, პრაქტიკული სწავლების ბაზის, კლინიკის, სახელოსნოს, ინსტრუმენტებისა და სხვა ობიექტების ფლობისა და სარგებლობის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ 3 წლის ვადით გაფორმებული დოკუმენტები. იჯარის/ქირავნობის შემთხვევაში ფლობისა და სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გისურვებთ წარმატებებს და ყოველმხრივ დაგიჭერთ მხარს საგანმანათლებლო და საადმზრდელო საქმიანობაში!

დანართი 1

ინფორმაცია პედაგოგიური პერსონალის შესახებ

№	გვარი, სახელი	საგნის დასახელება	კვალიფიკაცია დიპლომის მიხედვით	დიპლომის სერია და ნომერი, გაცემის თარიღი და გამცემი ორგანო	სამუშაო ადგილი	
					ძირითადი	დამატებითი
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ თარიღი _____

ბეჭდის ადგილი